საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას თვრამეტი წლის ხუთ ოქტომბერს, მე - **ციური ბერიძეს**, ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №68-ში, მომმართა ბატონმა **ლევან აფციაურმა** (დაბ. 08.11.1973 წელს, პ/ნ 01019000173, რეგისტრირებული ქალაქი თბილისი, სოფრომ მგალობლიშვილის ქუჩა, N 3, ბინა 35).

მან წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული რეესტრიდან შპს "Eurocon" -ს (ს.კ 404908481) შესახებ, გაცემული 10/11/2016 09:40:49 წელს, რეგისტრაციის ნომერი B16153912 და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული რეესტრიდან შპს "ორიონი"-ს (ს.კ 200173169) შესახებ, გაცემული 12/09/2016 13:49:18 წელს, რეგისტრაციის ნომერი B16125208,

განაცხადა, რომ არის შპს "ორიონი"-ს რეაბილიტაციის მმართველი შპს Eurocon" -ს (ს.კ 404908481) დირექტორი და სურს როგორც ამ საზოგადოების დირექტორმა და წარმომადგენლობით უფლებამოსილმა პირმა გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭოს შპს „X2 დეველოპმენტი"-ს (ს/კ405047024) წარმოდგენელს.

მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

პირადობა დადგენილია. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

შემდეგ მე შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს. მან განაცხადა, რომ მასში ასახული აზრი სრულად შეესაბამება მის ნებას. რის შემდეგ ხელი მოაწერა წინამდებარე მინდობილობას ჩემი- ნოტარიუსის თანდასწრებით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თვრამეტი წლის ხუთ ოქტომბერს, ბატონმა **ლევან აფციაურმა** (დაბ. 08.11.1973 წელს, პ/ნ 01019000173, რეგისტრირებული ქალაქი თბილისი, სოფრომ მგალობლიშვილის ქუჩა, N 3, ბინა 35), როგორც შპს "ორიონი"-ს (ს.კ 200173169) რეაბილიტაციის მმართველი შპს "Eurocon" -ს (ს.კ 404908481) დირექტორმა-შემდეგში "მარწმუნებელი" სრული უფლებამოსილება მიანიჭა შპს „X2 დეველოპმენტი"-ს (ს/კ 405047024) წარმოდგენელს- შემდეგში "რწმუნებული" იყოს მისი სრულუფლებიანი და შეუზღუდავი წარმომადგენელი შემდეგი საქმიანობის საწარმოებლად:

იყოს მარწმუნებლის სრული წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოში, მერიის, მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის, არქიტექტურისა სამსახურებში, მიიღოს ნებართვები, პროექტი, მარწმუნებლის სახელით გასცეს თანხობა ატვირთოს საიტებზე დოკუმენტაცია, ხელზე მიიღოს შეთანხმებული პროექტები ან/და ნებართვები, მოახდინოს უძრავი ქონების აზომვა, ახალი საკადასტრო გეგმის მომზადება, გადაიხადოს გადასახადი, რაც უკავშირდება აღნიშნულ დავალებას

მინდობილი უფლებამოსილება რწმუნებულს შეუძლია განახორციელოს ერთი წლის მოქმედების ვადით.

მინდობილობა ხელმოწერილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. № 507 დადგენილების 31.7.-მუხლის საფუძველზე-10 ლარი, მუხლი 39-ის საფუძველზე- 2 ლარი- ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ-1,80 ლარი, საგადასახადო კოდექსის 169 -ე მუხლის თანახმად. სულ 13,80 ლარი

საქართველო. ნოტარიუსი GEORGIA. NOTARY ГРУЗИЯ. НОТАРИУС 010080128 47

ნოტარიუსი ციური ბერიძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

64320978444918

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N181236046

რეგისტრაციის თარიღი

05.10.2018 წ

ნოტარიუსი: ციური ბერიძე
მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
ტელეფონი: 2-23-08-90.

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18